

# „მეტალინვესტის“ საქმე



ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შეწირული,  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიღებული  
და სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში

კიდევ ერთი წარმატებული ქართული ბიზნესი

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“  
აგვისტო, 2018 წ.  
ქ. თბილისი

მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა  
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

*არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი;  
გიორგი ზოიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, იურისტი  
რუსლან ალექსიძე, მთავარი იურისტი;  
მარიამ ფირცხალაიშვილი, იურისტი;  
ია გოგნაძე, იურისტი;  
გიორგი ლაბაძე, იურისტი, თარგმანი*

გურამ ლექვინაძე, ნათია მეფარიშვილი,  
გვანცა ღვედაშვილი - იურისტის თანამშრომლები.

*მარიამ ხიზანიშვილი  
ფინანსური მენეჯერი*

☐ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და  
განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების  
შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: [www.barristers.ge](http://www.barristers.ge)

FB: [www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi](https://www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi)

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #12

ორგანიზაციის ტელეფონი: 2 953518, 599 291202

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

გიორგი ზოიძე – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: [Pryoungbarristers@yahoo.com](mailto:Pryoungbarristers@yahoo.com);

[Pryoungbarristers@gmail.com](mailto:Pryoungbarristers@gmail.com)

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778



## 1. შესავალი

2006 წლის 16 მაისს, დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „მეტალინვესტი“ (ს/კ 206244358), რომლის დირექტორიც და 100%-იანი წილის მფლობელი გახლდათ საქართველოს მოქალაქე მურთაზ უგულავა. კომპანიის მრავალწლიანი განვითარების ბიზნეს-გეგმის მიხედვით, მისი საქმიანობის სფეროდ განისაზღვრა: მინის ქილების ლითონის ხუფების წარმოება და რეალიზაცია. კრონენსაცობების წარმოება და რეალიზაცია, მეტალპროდუქციის რეალიზაცია (მისი ექსპორტ-იმპორტი). საწარმოს დაფუძნებიდან ათი წლის განმავლობაში, იგეგმებოდა მინის ქილების ხუფების წარმოების გაზრდა, თანამედროვე სახის მასალა ხუფის წარმოების ტექნოლოგიების შექმნა და მისი წარმოებაში დანერგვა. ამასთან, კრონენსაცობების წარმოების გასაზრდელად ტექნოლოგიური დანადგარების გადაიარაღება და მისი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მეტალპროდუქციის სისტემური რეალიზაციის გაზრდისათვის უახლოეს ხუთ წელიწადში იგეგმებოდა საწარმოს ტექნოლოგიური გადაიარაღება, სასაწყობო და საამქროს ფართობების გაზრდა. ასევე, იგეგმებოდა კრანის შექმნა (არანაკლებ ათი ტონა ტვირთამწეობის) ლიანდაგის დაგება და მისი მონტაჟი, იაპონური წარმოების სასწორების შექმნა.

წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, ვინაიდან შპს „მეტალინვესტი“ დარეგისტრირდა შპს „გეოპარკ“-ის ტერიტორიაზე, ამ ორივე საწარმოს ჰყავდა ერთი და იგივე დამფუძნებელ-პარტნიორი, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, დაისვა საკითხი დასახელებული ამ ორი საწარმოს გაერთიანების თაობაზე. კომპანიის მრავალწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით, საწარმოების გაერთიანებით განპირობებული იქნებოდა 2 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის მოზიდვა ძირითადი საშუალებებისა და უძრავი ქონების სახით. შპს „მეტალინვესტს“ ჩვეულებრივი ტემპით მუშაობის შემთხვევაში, 5-10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის წლიური ბრუნვის პირობებში, მოსალოდნელი იყო საშუალო ნარჩენი მოგება განისაზღვრა 5-8%-ით, ანუ 350000-500000 აშშ დოლარით. ზემოაღნიშნული მასშტაბით განვითარებისა და მოდერნიზაციის შემთხვევაში, მოგების სახით დარჩებოდა წელიწადში 800 000-900 000 აშშ დოლარი.

2006 წელს, შპს „მეტალინვესტის“ დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში, კომპანიის აქტიური ჩართულობის შედეგად, მოხდა ინვესტორის მოძიება ყაზახური „ალიანს ბანკის“ სახით, რომელმაც შპს „მეტალინვესტს“ გამოუყო საზოგადოების მოძრავი ნივთებით უზრუნველყოფილი კრედიტი - 3 000 000 აშშ დოლარის ოდენობით (5 043 000 ლარი) (წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენდა 14%). ზემოაღნიშნული კრედიტის საშუალებით, შპს „მეტალინვესტმა“ განახორციელა არმატურისა და გრინულის იმპორტი უკრაინიდან, შეიძნა საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილი და მავთულის გამჭიმი დანადგარი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის მოზიდულ იქნა სამშენებლო ბაზრის ყველაზე მსხვილი მოთამაშეები საქართველოში: სს „ინჟინერი“, შპს „ნოლა“, შპს „MG“, შპს „ზიმო“ და სხვა კომპანიები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „მეტალინვესტის“ მომსახურე ბანკს საქართველოში წარმოადგენდა ს.ს. „თიბისი ბანკი“. კომპანიის კრედიტ ოფიცერს წარმოადგენდა ელდარ ახვლედიანი, რომელიც, საქმის მასალების მიხედვით, დასაქმდა ს.ს. „საქართველოს ბანკში“. კომპანიის წარმომადგენლები სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ შპს „მეტალინვესტის“ მიმართ, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ შემდგომ ბიზნეს-ინტერესებს. 2007 წლის დასაწყისიდან შეიქმნა პირობები იმისთვის, რომ შპს „მეტალინვესტს“ გაეზარდა სასაქონლო ბრუნვა და საჭირო გახდა დამატებითი საკრედიტო რესურსის მოზიდვა. მოცემულ ვითარებაში, საქმის მასალების მიხედვით, შპს „მეტალინვესტს“ უკვე ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სახელით დაუკავშირდა ელდარ ახვლედიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ თუკი კომპანია შეიცვლიდა მომსახურე ბანკს და გახდებოდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ კლიენტი, შპს „მეტალინვესტის“ ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდებოდა შეუზუდავი ოდენობით კრედიტის გამოყოფა. შპს „მეტალინვესტის“ კეთილსინდისიერად დასთანხმდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წინადადებას, თავის მხრივ ბანკმა კი, დეტალურად შეისწავლა შპს „მეტალინვესტის“ ქონება და აგრეთვე ის ქონებები, რომელიც ირიცხებოდა შპს „მეტალინვესტის“ პარტნიორი ორგანიზაციებისა თუ კომპანიის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე პასუხისმგებელ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე.

2007 წელს, შპს „მეტალინვესტსა“ და ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შორის დაიდო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 5 000 000 აშშ დოლარზე, საიდანაც გამოიყო 3 000 000 აშშ დოლარის სესხი წლიური 14%-იანი საპროცენტო სარგებლით და რეფინანსირებით დაიფარა ს.ს. „ალიანს ბანკის“ მიმდინარე სასესხო დავალიანება. სს „საქართველოს ბანკმა“ დამატებით საბრუნავი საშუალებების შესაძენად, შპს „მეტალინვესტს“ გამოუყო მოკლევადიანი სესხი 848 500 ლარის ოდენობით და კომპანიის ანგარიშზე დაიშვა ოვერდრაფტი 46 720 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2007 წელს, შპს „მეტალინვესტის“ სასაქონლო მატერიალური მარაგების იმპორტმა შეადგინა 21787386,4 ლარი. უკრაინიდან შემოტანილი იქნა 21 536,87 ტონა მეტალპროდუქცია, ხოლო გარდამავალი ნაშთი საწარმოს საწყობში, მუდმივად შეადგენდა 2000-3000 ტონამდე სხვადასხვა ასორტიმენტის არმატურას და გლინულას. ამავე პერიოდში, კეთილმოეწყო სარკინიგზო ჩიხი, სასაწყობე ტერიტორია და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება განისაზღვრა 230 475,91 ლარით.

2008 წელს, მეტალპროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, როგორც ირკვევა, შპს „მეტალინვესტმა“ მოიძია ახალი მიმწოდებლები ინგლისური კომპანია „Stemcor“-ისა და თურქული კომპანია „ICDAS“-ს სახით. ამ პერიოდში, შეძენილ იქნა ორი დამატებითი სარეალიზაციო ბაზა (ქ, ქუთაისში და ქ, თბილისში (დიდუბეში)) და საოფისე ფართი ქ, თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე.

საწარმომ საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება ხის გადასამუშავებელი საამქროს მოწყობასთან დაკავშირებით. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, შპს „მეტალინვესტმა“ შეიძინა 264 309,04 ლარის ღირებულების დაზგა-დანადგარები.

2008 წელს, შპს „მეტალინვესტმა“ კომპანიის უკეთ მართვის, შემოსავლის გაზრდის და ხარჯების შემცირების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება ბალანსით შერწყმოდა შპს „გეოპარკ“-ს ტარა-შესაფუთი მასალების მოქმედი წარმოებით და მატერიალური ტექნიკური ბაზით. კომპანიების შერწყმის შედეგად, შპს „მეტალინვესტის“ ფიქსირებული აქტივი გაიზარდა 6 908 356,47 ლარამდე.

2008 წელს, შპს „მეტალინვესტის“ ამონაგებმა რეალიზაციიდან შეადგინა 40 700 831,41 ლარი. ამავე პერიოდში, საწარმომ სს „საქართველოს ბანკიდან“ მიიღო დამატებითი დაფინანსება 4 403 00 ლარის ოდნობით. ამასთან, 2008 წელს, შპს „მეტალინვესტი“ გახდა მსხვილი გადამხდელი და ასევე მიიღო გადამხდელთა ოქროს სიაში მყოფი ორგანიზაციის სტატუსი. კომპანიაში ამ დროისთვის დასაქმებული იმყოფებოდა 100-მდე ადამიანი.

2008 წელს, შპს „მეტალინვესტმა“ მეტალის სარეალიზაციო ბაზარზე დანერგა პროდუქციის აწონვის და მიწოდების ინოვაციური მეთოდი - ციფრული სასწორი. 2008 წლის ბოლოს, კომპანიის ადგილზე არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულებამ შეადგინა 5313551,44 ლარი.

2008 წლის სექტემბერში, სს „საქართველოს ბანკმა“ სესხებზე საპროცენტო წლიური სარგებელი 14%-დან გაზარდა 18%-მდე. 2009 წელს, ბანკმა უარი განაცხადა დაფინანსებაზე და სესხის დაფარვის მიზნით გადავიდა საბრუნავი საშუალებების რეალიზაციაზე. წარმოდგენილი მასალების თანახმად, შპს „მეტალინვესტს“ არ ჰქონდა არც დამატებითი დაფინანსება და არც სასაქონლო მატერიალური მარაგები, ხოლო კომპანიის აქტივების რეალიზაციიდან ამოღებული თანხა, ძირითადად მიემართებოდა სესხის პროცენტის დასაფარად. ამდენად, შპს „მეტალინვესტი“, 2009 წლიდან 2012 წლამდე საქმიანობას ასრულებდა ზარალით. ბანკმა კომპანიაში დანიშნა დროებითი მმართველობის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი - კონტროლიორი.

შპს „მეტალინვესტის“ 2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით განვლილი პერიოდის მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციების მიხედვით, 2006 წელს, შპს „მეტალინვესტის“ დასაბეგრი მოგება განისაზღვრა 34 870,21 ლარით, 2007 წელს - 857 162,54 ლარით, 2008 წელს - 2 809,93 ლარით. ხოლო 2009 წლიდან 2012 წლამდე საგადასახადო დეკლარაციების თანახმად, საწარმოს საქმიანობით მოგება არ მიუღია.

სსიპ ლევან სამსახრაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 19 ივნისის დასკვნის მიხედვით<sup>1</sup>, ვინაიდან შპს „მეტალინვესტს“ არ გააჩნდა დაფინანსების წყარო, ხოლო მისი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი სრულად მიემართებოდა სასესხო ვალდებულებების დასაფარად, კომპანია ვეღარ ღებულობდა მოგებას.

2009-2012 წლებში, მიუღებელი შემოსავლის დასადგენად, ექსპერტების მიერ 2006 წლიდან 2008 წლის ჩათვლით განვლილ პერიოდში, ფაქტიურად მიღებული მოგების გათვალისწინებით, გაანგარიშებული იქნა საშუალო წლიური მოგება, რაც განისაზღვრა 1 233 867,23 ლარით, რომლის გათვალისწინებითაც, 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით პერიოდში, შპს „მეტალინვესტს“ სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მიეღო საორიენტაციოდ 4 935 468,92 (4\*1233867,23) ლარის მოგება.

---

<sup>1</sup> სსიპ ლევან სამსახრაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 19 ივნისის დასკვნა #5002332313.



*შპს „მეტალინვესტის“ 100%-იანი წილის მფლობელი, დამფუძნებელი და დირექტორი, ბატონი მურთაზ უგულავა.  
ბრიფინგი, თემაზე: შპს „მეტალინვესტის“ საქმეზე კვლევა იწყება. თბილისი, 22 ივნისი, 2018 წ.*

დღეს შპს „მეტალინვესტი“ საერთო სასამართლოების გზით ცდილობს დარღვეული უფლებებისა და კომერციული ინტერესების აღდგენას. ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ წარდგენილი საჩივრების (განცხადებების) საფუძველზე მოითხოვს, როგორც ბანკის, ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთა მოქმედებებში სავარაუდო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შეფასებას. საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს, წინამდებარე კვლევა, დეტალურად განიხილავს.

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შპს „მეტალინვესტის“ საქმის კვლევა 2018 წლის მაისიდან დაიწყეს. ორგანიზაციამ თავის პირველ საჯარო განცხადებაში, 2018 წლის 22 ივნისს გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკი“ „მეტალინვესტის“ გაკოტრების საქმეში მთავარი ფიგურანტია.<sup>2</sup> 2018 წლის 6 ივლისს საქმეზე გავრცელებულ საჯარო განცხადებაში აღნიშნა, რომ შპს „მეტალინვესტის“ საქმეზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარე საგამომიებო მოქმედებები ეფექტიანი

<sup>2</sup> [http://www.barristers.ge/ge/page/news\\_item/1242](http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1242)

არ იყო და კომპანიის დაზარალებულად ცნობის წინაპირობების მიუხედავად, არ ხდებოდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიმართ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია<sup>3</sup>.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წინამდებარე კვლევა საჯარო და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი 2018 წლის აგვისტოს თვიდან გახადა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქმეზე კვლევას და საზოგადოებრივ კონტროლს გააგრძელებს. წარმოდგენილი კვლევა მიეწოდათ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, დიპლომატიურ კორპუსს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მედიას.



*ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, ადვოკატი არჩილ კაიკაციშვილი ბრიფინგ ზე საზოგადოებას შპს „მეტალინვესტის“ მოქმედ და არაუფლებამოსილ წესდებებზე ინფორმაციას აწვდის. თბილისი, 22 ივნისი, 2018 წ*

<sup>3</sup> [http://www.barristers.ge/ge/page/news\\_item/1253](http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1253)



## 2. შპს „მეტალინვესტი“ V.S. ს.ს. „საქართველოს ბანკი“

საქმის მასალების მიხედვით, შპს „მეტალინვესტსა“ და ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შორის, 2007-2008 წლებში, გაფორმდა შემდეგი საკრედიტო ხელშეკრულებები:

N	საკრედიტო ხელშეკრულების დასახელება და დახასიათება	საკრედიტო ლიმიტი აშშ დოლარში	ათვისება აშშ დოლარში	+/- შედეგი
1	2	3	4	5
1.	საკრედიტო ხელშეკრულება N 727327, 12.04.2007 წ.	5 000 000	800 000	- 4 200 000
2.	საკრედიტო ხელშეკრულება N727327-1, 28.05.2007 წ.	3 000 000	3 000 000	3 000 000
3.	საკრედიტო ხელშეკრულება N727327-1, 10.04.2008 წ.	7 000 000	1 500 000	- 5 500 000
4.	საკრედიტო ხელშეკრულება N727327-1, 05.06.2007 წ.	2 000 000	1 800 000	- 200 000
5.	სულ სესხი	17 000 000	7 100 000	- 9 900 000

საქმის მასალების მიხედვით, 2007-2012 წლებში, სს „საქართველოს ბანკის“ მიერ შპს „მეტალინვესტისათვის“ გამოყოფილია სულ 12 930 000 აშშ დოლარი და 3 000 000 ლარი, საიდანაც ამ უკანასკნელმა, ფაქტობრივად, მიიღო საბრუნავი სახსრების სახით - 3 800 000 აშშ დოლარი და 3 000 000 ლარი. სს „თიბისი ბანკის“ და სს „ალიანს ბანკის“ რეფინანსირებისათვის - 4 500 000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი თანხა - 4 630 000 აშშ დოლარი და 3 000 000 ლარი საზოგადოებისათვის გამოყოფილია 2009 წლის მარტამდე და მის შემდგომ პერიოდში აღებული სესხების ძირითადი თანხის, სესხის სახით სარგებლობის პროცენტისა და საურავების დასაფარად.

2009 წელს, ბანკმა უარი განაცხადა დაფინანსებაზე და სესხის დაფარვის მიზნით გადავიდა საბრუნავი საშუალებების რეალიზაციაზე. წარმოდგენილი მასალების თანახმად, შპს „მეტალინვესტს“ არ ჰქონდა არც დამატებითი დაფინანსება და არც სასაქონლო მატერიალური მარაგები, ხოლო კომპანიის აქტივების რეალიზაციიდან ამოღებული თანხა, ძირითადად, მიემართებოდა სესხის პროცენტის დასაფარად. ამდენად, შპს „მეტალინვესტი“ 2009 წლიდან 2012 წლამდე საქმიანობას ასრულებდა ზარალით. ბანკმა კომპანიის მიმართ საკრედიტო პოლიტიკა შეცვალა. სს „საქართველოს ბანკმა“ სესხებზე საპროცენტო წლიური სარგებელი 14%-დან გაზარდა 18%-მდე.

საქმის მასალების მიხედვით, შპს „მეტალინვესტსა“ და ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შორის ურთიერთობები კრიტიკული და უთანასწორო, განსაკუთრებით, 2009 წლის მარტიდან გახდა.

2009 წლის 30 მარტს, შპს „მეტალინვესტის“ დირექტორ მურთაზ უგულავას, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ირაკლი ბურდულაძესა და მეორეს მხრივ, ფიზიკურ პირ გურამ მაღალაშვილს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, შპს „მეტალინვესტში“ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ კონტროლიორის სტატუსით, მიავლინა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვა ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი. ამავე შეთანხმებით, შპს „მეტალინვესტს“ დაევალა კონტროლიორის ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება 3000 (ერთი სამი) ათასი ლარის ოდენობით.

წინამდებარე შეთანხმების მიხედვით, შპს „მეტალინვესტს“ მის საკუთრებაში არსებული საქონლის რეალიზება უნდა მოეხდინა შემდეგი პირობების დაცვით:

- 1 (ერთი) ტონა არმატურის ფასი არ უნდა იყოს 600 (ექვსასი) აშშ დოლარზე (გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული ოფიციალური კურსის შესაბამისად) ნაკლები. არმატურის საბაზრო ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით, გასაყიდი ფასი შეიძლება შემცირდეს მაქსიმუმ 100 (ასი) აშშ დოლარით;
- გასაყიდი საქონლის ღირებულება უნდა ჩაერიცხოს ს.ს. „საქართველოს ბანკში“ გახსნილ კომპანიის ანგარიშზე;
- მყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულება, ინვოისი და მათთან გათანაბრებული დოკუმენტი (საქონლის ნასყიდობის შესახებ) გაუგზავნოს ბანკს ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე და დაელოდოს პასუხს;

- საქონლის რეალიზაციიდან მიღებული თანხები მყიდველს მიამართინოს ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გახსნილ კომპანიის კუთვნილ ანგარიშზე;
- ბანკთან შეთანხმების გარეშე, არ გასცეს საქონელი კონსიგნაციის წესით;
- ბანკის მხრიდან დასტურის მიღებამდე, არ გაატანოს მყიდველს საქონელი;
- მისცეს კონტროლიორს და მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს პერსონალური კომპიუტერი ისე, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება ყოველდღიურად, დღეში 24 საათის მანძილზე, მიიღონ და გააგზავნონ ფაქსი და ელექტრონული შეტყობინება;
- მისცეს კონტროლიორს და მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უფლება თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საწყობში, დაესწრონ და გააკონტროლონ საქონლის შემოტანის, გატანის, აწონვის პროცესი;

2009 წლის 31 მარტს, შპს „მეტალინვესტი“ მიერ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ გაგზავნილ ოფიციალურ წერილში ვკითხულობთ:

*„ - „მეტალინვესტი“ წარმატებული ბიზნეს კომპანიაა. მისი ფიქსირებული აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება შეადგენს 6500000 ლარს. „მეტალინვესტის“ ძირითადი ბიზნეს-პარტნიორებია ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიც არიან „RAKEEN“-ი და მისი ქვეკონტრაქტორები - „უნისტ ჯორჯია“, შპს „მაგი სტილი“, შპს „ამტრომ კონტაქტინგ ჯორჯია“ და სხვები. საერთო ჯამში, 2008 წლის საქონლის ბრუნვამ თანხობრივ გამოსახულებაში შეადგინა 40 000 000 ლარი, ხოლო წმინდა მოგება - 2 400 000 ლარი.*

*მართალია, 2008 წლის აგვისტოს ომმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს ბიზნესზეც, მაგრამ „მეტალინვესტმა“ გაუძლო მას და დღეის მდგომარეობით, უკვე დაწყებულია აღმასვლა. განვითარების ეს ტემპი შენარჩუნებული იქნება, თუ დამფინანსებელი ბანკი არ გამოიყენებს ხელების გადაგრეხვის პოლიტიკას და დაბალანსებული იქნება ბანკისა და ჩვენი საწარმოს ურთიერთ-ინტერესები. ამიტომ, ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია ბანკის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან სიფრთხილის კარნახით, აღებული კრედიტების უმოკლეს ვადებში დაფარვასთან დაკავშირებით. ასეთი მოთხოვნა დალუპავს ჩვენს ბიზნესს და იგი არ შედის არც ბანკისა და არც ჩვენი ქვეყნის ინტერესებში. ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს ორივე მხარის ინტერესები, საჭიროა მოხდეს ჩვენი სასესხო ვალდებულებების გონივრული რესტრუქტურირაცია და გადავადება ქვემოთ მოყვანილი გრაფიკის მიხედვით:*

1. სასესხო ხელშეკრულება #439622 - 500 000 აშშ დოლარის ძირის დაფარვით გაიწეროს 2014 წლამდე;
2. სასესხო ხელშეკრულება #449985 - 300 000 აშშ დოლარის ძირის დაფარვით გაიწეროს 2014 წლამდე;
3. სასესხო ხელშეკრულება #504514 - 2 000 000 აშშ დოლარის ძირის დაფარვით გაიწეროს 2014 წლამდე.

პირველი ორი სესხი აღებული აქვს შპს „გეოპაკ“, რომელიც შეერწყა „მეტალინვესტს“ და მან აიღო ვალდებულება ამ სესხების დაფარვაზე. „მეტალინვესტი“ ამ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებს. უნდა ითქვას, რომ ეს სესხები მორგებული იყო „გეოპაკ“-ის წარმოებაზე. იგი პროდუქციას აწარმოებდა სეზონურად, მაისის თვიდან, საკონსერვო საწარმოებისათვის. ამ სესხების გაწერა აუცილებელია საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარების მთავრობისეული გეგმებიდან გამომდინარე.

4. სასესხო ხელშეკრულება #207045 - 3 000 000 აშშ დოლარიდან დარჩენილი ბოლო გადახდა 04.02.2009 907891.68 აშშ დოლარი გაიწეროს ძირის დაფარვით 2014 წლამდე;
5. რაც შეეხება 1 500 000 ლარის ოვერდრაფტიდან დარჩენილ 847587.60 ლარს, ის იფარება შპს „XXII საუკუნის“ მიერ დებიტორული დავალიანების დაფარვისთანავე.
6. აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, აგრეთვე ბიზნესის უკეთ წარმართვისთვის საჭიროების შემთხვევაში, მოკლევადიანი ოვერდრაფტების დაშვება.
7. აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, ასევე უკრაინის პორტ ოქტიაბრსკში ჩვენს სახელზე არსებული 3000 ტონა არმატურის შემოტანა. ეს აგვაცილებს მომწოდებელთან პრობლემებს და ბიუჯეტი დამატებით შეივსება 5-6 მილიონი ლარით. ამასთან, რაც მთავარია, იგი არის ჩვენი საწარმოს წინსვლის და ბანკის კრედიტების დროული დაფარვის წინაპირობა.

ჩვენს მიერ გააზრებული და გაანალიზებული ბიზნეს-გეგმის მიხედვით, არა თუ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, თქვენს საბანკო სესხს დავიყავნთ 4 000 000 აშშ დოლარამდე, არამედ პირნათლად შევასრულებთ ჩვენს ყველა სასესხო ვალდებულებას“ - ნათქვამია შპს „მეტალინვესტის“ დირექტორის ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ გაგზავნილ წერილში.

2009 წლის 8 მაისს, შპს „მეტალინვესტის“ დირექტორმა გამოსცა #1-49 ბრძანება საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე. ბრძანების თანახმად, საინვენტარიზაციო კომისიას 2009 წლის 30 მარტიდან 11 მაისის პერიოდის მდგომარეობით, უნდა მოეხდინა საწარმოში არმატურის

ინვენტარიზაცია. შესაბამის ბრძანებაში გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

*„დღიდან საწარმოში მოსვლისა, გურამ მაღალაშვილი ეწევა დეზორგანიზაციულ დეზინფორმაციულ საქმიანობას. ჩვენთვის მიუღებელი სხვადასხვა წინადადებებით ცდილობს ხელი შეუშალოს საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებას და დაამუხრუჭოს მისი საქმიანობა, თანაც, ბანკს აწვდის ცრუ ინფორმაციას არმატურის საწარმოდან გასულ ოდენობასთან დაკავშირებით. ასეთი საქმიანობით, იგი ხელოვნურად ძაბავს ურთიერთობას ბანკსა და ჩვენს საწარმოს შორის. დაბლა სწევს და შეურაცხყოფს შპს „მეტალინვესტის“ რეპუტაციას. ერთ-ერთი ასეთი ცრუ ინფორმაციაა ბანკში 2009 წლის 24 აპრილს მიწოდებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს „მეტალინვესტიდან“ ყოველგვარი საბუთის გარეშე, ღამის საათებში გატანილ იყო 50 ბუხტა (შეკვრა) არმატურა, რაც დაახლოებით 200 ტონაა. ამგვარი რა, როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია“. აღნიშნული ბრძანება გაეგზავნა ს.ს. „საქართველოს ბანკს“ და ეთხოვა მოეხდინა თავისი წარმომადგენელი საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობისთვის, რომელსაც ინვენტარიზაციის დასრულება სამი დღის განმავლობაში დაევალა.*

2009 წლის 15 მაისს, შპს „მეტალინვესტსა“ და ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შორის ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, ხელი მოეწერა შემოწმების აქტს, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ „საერთო ჯამში, არმატურის ზედმეტ-ნაკლებობა არ აღრიცხულა“ (სტილი დაცულია).

საქმის მასალების მიხედვით, ამ მოვლენების შემდეგ, საკვანძო საკითხად შემოდის ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, 2010 წლის 7 აპრილს, ბანკის წარმომადგენლებისა და შპს „მეტალინვესტის“ მაშინდელ დირექტორ მიხეილ უგულავას შეხვედრა. ამ შეხვედრაზე, ბანკსა და შპს „მეტალინვესტს“ შორის გაფორმდა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები კომპანიაზე რიცხულ უძრავ ქონებებზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებებზე ხელმოწერასთან ერთად, მხარეებმა ხელი მოაწერეს ნასყიდობის ხელშეკრულებებსაც. შპს „მეტალინვესტს“ ხელმოწერილი ხელშეკრულების ეგზემპლარები არ გადასცემია, ხოლო ვითარება მოგვიანებით გახდა ცნობილი - ბანკთან 2010 წლის 7 აპრილს კომპანიის სახელით ხელშეკრულებებს ხელი მოაწერა კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონებების გასხვისებაზე არაუფლებამოსილმა პირმა. კერძოდ, შპს „მეტალინვესტის“ წესდების 7.2. მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოების დირექტორ მიხეილ უგულავას გააჩნდა შეზღუდული უფლებამოსილება და მას საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე, უფლება არ ჰქონდა დაედო ისეთი გარიგებები,

რომელიც დაკავშირებული იქნებოდა კომპანიის სახელზე რიცხული ქონებების გასვისებას.

საქმის მასალების მიხედვით, ბანკსა და კომპანიას შორის ხელმოწერილი 2010 წლის 7 აპრილის ხელშეკრულებებით დატვირთული კომპანიის 6 უძრავი ქონების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 2 693 000 აშშ დოლარს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი კომპანიას აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმების სანაცვლოდ დაპირდა შპს „მეტალინვესტის“ დამატებით დაფინანსებას, დაფინანსება არ მოუხდენია. კომპანიის ამჟამინდელი მენეჯმენტი აღნიშნავს, რომ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები ბანკის მხრიდან შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების გამო, გაუქმდებოდა ავტომატურად, თუმცა ვითარება გაართულა გარემოებამ, როდესაც საზოგადოების არაუფლებამოსილ ხელმძღვანელ პირს ბანკთან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებებთან ერთად, ხელი მოწერილი ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულებებსაც. დადგენილია, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ 2011 წელს, სხვა ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა შპს „მეტალინვესტის“ ორი უძრავი ქონება. კომპანიის ამჟამინდელი წარმომადგენლების მითითებით, ამით მთლიანად დაიფარა ექვსივე ქონების ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა - 2 693 000 აშშ დოლარი და ზედმეტი თანხა დარჩა 327 00 აშშ დოლარის სახით, რომელიც კომპანიის მიმართ, არ დაბრუნებულა. უძრავი ქონებებიდან ერთის მესაკუთრე თავად ს.ს. „საქართველოს ბანკი“ გახდა, ხოლო ერთიც, ბანკის თანხმობით, გასხვისდა შპს „მეტალქონსტრაქტივზე“.

2012 წლის 26 ივნისს, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ 2010 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებების რეგისტრაციის მიზნით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა დარჩენილ 4 უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ბანკის მოთხოვნაზე დადგინდა ხარვეზი და იქედან გამომდინარე, რომ შპს „მეტალინვესტის“ დირექტორი იმჟამად იყო შეცვლილი, სახელმწიფო მარეგისტრირებელი უწყების მხრიდან მოთხოვნილ იქნა შპს „მეტალინვესტის“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება (კრების ოქმი) და კორექტირებული ხელშეკრულების წარდგენა. 2012 წლის 29 ივნისს, ბანკმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინა შპს „მეტალინვესტის“ დღევანდელი მდგომარეობით სადავო და არაიურიდიული ძალის მქონე წესდება, სადაც გაკეთებულ იქნა ჩანაწერი: „საზოგადოების მთლიანი ან ნაწილობრივ გასხვისება“, რომლითაც ლეგიტიმური ხდებოდა 2010 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულებების ხელმოწერის ფაქტი და შპს „მეტალინვესტის“ მაშინდელი დირექტორის უფლებამოსილების მართლზომიერება. სინამდვილეში, ბანკის მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში

წარდგენილი კომპანიის სადავო წესდება ნოტარიულად იქნა დამოწმებული - „ასლი დედანთან სწორია“ და სადავო წესდებაში სიტყვები: „ქონების გასხვისების აკრძალვას“ ნაცვლად, ჩაიწერა: „საზოგადოების მთლიანი ან ნაწილობრივ გასხვისება“. სადავო წესდება იმავე ფორმით დამოწმებულ იქნა არაერთ ნოტარიუსთან, რაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა, ბანკის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის დირექტორ მურთაზ უგულავას მიმართ, 2011 წელს განხორციელდა სისხლისამართლებრივი დევნა, რომელიც მიზნად ისახავდა კომპანიის მართვის სადავეებიდან მის ჩამოშორებას და ბრალდება მოტივირებული გახლდათ პოლიტიკური ნიშნით. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 ივნისის განაჩენით (მოსამართლე: ჯემალ კოპალიანი) მურთაზ უგულავასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

საქმის მასალების მიხედვით, 2007 წლის 31 ოქტომბერს, ოფშორულმა კომპანია „ამბერ გრუპ ინვესტ კორპმა“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან 7600 00 აშშ დოლარად შეიძინა ს.ს. „ბაოს“ აქციათა 90%. 2008 წლის 12 ივნისს კომპანია „ამბერ გრუპ ინვესტ კორპსა“ და მურთაზ უგულავას შორის დაიდო ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მურთაზ უგულავამ 668 313 ლარად იყიდა ს.ს. „ბაოს“ აქციათა 90%. გამოძიება აღნიშნავდა, რომ შპს „მეტალინვესტის“ ანგარიშიდან კომპანია „ამბერ გრუპ ინვესტ კორპსის“ ანგარიშზე გადაირიცხა 2 132 92,62 ლარი და მიეთითა, რომ ოფშორული კომპანიიდან აქციები შეიძინა არა მურთაზ უგულავამ, არამედ „მეტალინვესტმა“. გამოძიების მითითებით, მურთაზ უგულავამ შედეგად მიიღო 1 464 609 ლარის ოდენობით სარგებელი და თავი აარიდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 366 152 ლარის გადასახადის გადახდას.

ს.ს. „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტალინვესტს“ შორის რთული საქმიანი ურთიერთობები და ბანკის მხრიდან ხისტი პოლიტიკა ბიზნესის მიმართ გაგრძელდა 2010, 2011, 2012 წლებში. შპს „მეტალინვესტს“ არ ჰქონდა არც დამატებითი დაფინანსება და არც სასაქონლო მატერიალური მარაგები. შესაბამისად, შექმნილ ვითარებაში, ვერ ახდენდა სესხის დაფარვას, ხოლო აქტივების რეალიზაციიდან ამოღებული თანხა, ძირითადად მიემართებოდა სესხის პროცენტის დასაფარად. მაგალითად: 2011 წელს გაიყიდა აქტივი: ქობულეთში არსებული 2,4 ჰექტარი მიწა და ოქროყანაში არსებული 2,4 ჰექტარი მიწა. ქობულეთის მიწის რეალიზაციიდან დაიფარა სესხის ძირითანხა - 539562.11 ლარის ოდენობით, პროცენტი - 1030178.34 ლარის ოდენობით. ოქროყანის მიწის რეალიზაციიდან ჩარიცხული თანხა

მოხმარდა: 892148.34 სესხის ძირითადი თანხის დაფარვას და 705480,01 პროცენტის დაფარვას. მათ შორის, 2011 წლის ოქტომბერში ჩარიცხული ოქროყანის მიწის ღირებულების დარჩენილი ნაწილი 509757.06 ლარი სრულად მოხმარდა მომდევნო 4 თვის გადასახდელი პროცენტის დაფარვას. ასევე, ადგილი ჰქონდა რეფინანსირების სხვადასხვა მეთოდებს. კერძოდ: 2010 წელს ბანკმა სესხი გამოიყო მხოლოდ მიმდინარე სესხის რეფინანსირებისთვის. ახალი სესხი გაიზარდა 1273185 ლარით. სექტემბერში დოლარში არსებული სესხი გალარდა და კვლავ გაიზარდა დარიცხული გადაუხდელი პროცენტით 177263.98 ლარით და შეადგინა 6312431.49 ლარი, ნაცვლად 6135167.34 ლარისა.

2012 წლის 2 ნოემბერს, მურთაზ უგულავამ განცხადებით<sup>4</sup> მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 ივნისის განაჩენით დამდგარი შედეგის გაუქმება და ბრალდების გადასინჯვა მოითხოვა. 2018 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

2012 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის #074201212801 საქმეზე, ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა მოქალაქეების: მანონი ლორიასა და მურთაზ უგულავას 2012 წლის 7 ნოემბრის ერთობლივი განცხადება. წარდგენილი განცხადების საფუძველზე, საგამოძიებო ორგანოსგან მოთხოვნილ იქნა დაზარალებულად ცნობა და აღინიშნა, რომ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მოქალაქეებს მიადგათ მატერიალური ზიანი.

2013-2017 წლებში, მურთაზ უგულავას მიერ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ წარდგენილი იქნა არეართი განცხადება საქმეზე ობიექტური გამოძიებისა და სწრაფი სამართალწარმოების მოთხოვნით.

2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილის თანახმად, სამართალწარმოების შესახებ არსებობდა შემდეგი სახის ინფორმაცია: „*საქმეზე ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. კერძოდ, დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის მოწმის სახით დაიკითხა მურთაზ უგულავა. ს.ს. „საქართველოს ბანკიდან“, სანოტარო*

---

<sup>4</sup> 2012 წლის 2 ნოემბრის მურთაზ უგულავას განცხადება საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ 2011 წლის 11 ივნისის განაჩენის გადახედვის თაობაზე. რეგისტრაციის #01/13-66127



*ბიუროდან და საჯარო რეესტრიდან ამოღებულია სრული დოკუმენტაცია, რაზეც დაინიშნა და ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა. ამავდროულად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღა დაედო სადავო ქონებას. სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ არის. საქმეზე გამოძიება გრძელდება“.<sup>5</sup>*

2018 წლის 8 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „დაზარალებულის ცნობასა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ“. დადგენილებით განიმარტა, რომ დაზარალებულად ცნობის თაობაზე, მოთხოვნა იყო უსაფუძლო და დადგენილების მიღების მომენტისთვის არ არსებობდა საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე საკმარისი დასაბუთებისთვის მტკიცებულებათა ერთობლიობა.

2018 წლის 4 ივნისს, შპს „მეტალინვესტის“ დირექტორმა, მურთაზ უგულავამ წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (მინისტრს) და მოითხოვა ა) სამინისტროს თავიდან დაეწყო საქმის შესწავლა, გარკვეულიყო, თუ რატომ და რისთვის მოქმედებდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარეგისტრირებელი პირი კანონის საწინააღმდეგოდ, შპს „მეტალინვესტის“ საზიანოდ და ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ, ბ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოეხდინა შპს „მეტალინვესტის“ არასწორი წესდების ელექტრონული ბრუნვიდან ამოღება და გ) სამეწარმეო რეესტრში აღმდგარიყო შპს „მეტალინვესტის“ შესახებ სრული ჩანაწერი იმ რედაქციით, რომელსაც სამეწარმეო ამონაწერით ადგილი ჰქონდა 2010 წლის 6 აპრილის მდგომარეობით.<sup>6</sup>

2018 წლის ივლისში, შპს „მეტალინვესტის“ დირექტორმა, მურთაზ უგულავამ წერილით მიმართა საქართველოს ახალ მთავარ პროკურორ შალვა თადუმაძეს და მოითხოვა მის მიმართ 2011 წლის სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენის გადახედვა (გაუქმება) და ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ უძრავი ქონებების გადაფორმების კანონიერებისა და მართლობიერების დადგენა. მურთაზ უგულავამ აღნიშნა, რომ საქართველო მთავარი პროკურატურა საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებს და მთავარი პროკურორისგან მოითხოვა საგამოძიებო ორგანოში არსებული სამართალწარმოების პროცესის პირად კონტროლზე აყვანა.

---

<sup>5</sup> 2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს #13/35998 წერილი საქართველოს სახალხო დამცველის პირველ მოადგილეს.

<sup>6</sup> 2018 წლის 4 ივნისის შპს „მეტალინვესტის“ დირექტორის მურთაზ უგულავას წერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიმართ. წერილის #01/10573

### 3. „მეტალინვესტის“ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები

შპს „მეტალინვესტმა“ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, არაერთი დავა აწარმოა, რომელიც ეხებოდა, როგორც ს.ს. „საქართველოს ბანკის“, ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ წარდგენილ სამართლებრივ მოთხოვნებსა და პრეტენზიებს.

#### *სამართალწარმოების პროცესი ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ*

2012 წლის 28 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, შპს „მეტალინვესტისა“ და მურთაზ უგულავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა<sup>7</sup>.

შპს „მეტალინვესტისა“ და მურთაზ უგულავას მიერ მოხონილ იქნა ს.ს. „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტალინვესტს“ შორის 2010 წლის 7 აპრილს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგ უძრავ ქონებაზე: #2-01.17.11.007.009, 01.17.11.007.019, 01.14.14.011.061.01.500, 03.05.01.979, 20.42.01.105 და 01.15.08.001.008. კომპანიის განმარტებით, უფლებამოსილება, რომლითაც დირექტორს ექნებოდა შესაძლებლობა გაესხვისებინა კომპანიის უძრავი ქონება, არ არსებობდა და მისი უფლებამოსილება ამგვარ ქმედებაზე შეზღუდული იყო, რაც ცალსახად დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტებიდან. დამფუძნებელს და 100%-იანი წილის მესაკუთრეს წარმოადგენს მურთაზ უგულავა და მისი თანხმობა ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით, დირექტორს არ მიუცია. ამასთან, კომპანიამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადება მოხდა 2010 წლის 7 აპრილს, თუმცა ქონების საკუთრებაში რეგისტრაცია განხორციელდა მოგვიანებით და თავად რეგისტრაციის პროცესის მიმდინარეობისას სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შეჩერდა წარმოება და დაევალა მხარეს წარმოედგინა შპს „მეტალინვესტის“ პარტნიორთა გადაწყვეტილება, თუმცა მოგვიანებით მაინც განხორციელდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სადავო ქონებებზე მესაკუთრედ რეგისტრაცია. კომპანიამ განმარტა, რომ ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია შპს „მეტალინვესტის“ არაუფლებამოსილ პირთან, მხარეთა შორის 2010 წლის 7 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა გაუქმებულიყო და ქონება დაბრუნებოდა შპს „მეტალინვესტს“.

<sup>7</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/10220-12, მოსამართლე: ეკატერინე ბიჭაძე.

საქმის სასამართლო ეტაპზე განხილვის პროცესში, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება მისი დადების მომენტისთვის უფლებამოსილი პირის მხრიდან იქნა ხელმოწერილი<sup>8</sup>. ბანკის განმარტებით, სწორედ დირექტორი წარმოადგენდა კომპანიას მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით. ბანკის განმარტებით, საზოგადოების წესდების მე-8 მუხლი განსაზღვრავს საზოგადოების დირექტორის უფლებამოსილებას, სადაც აღნიშნულია, რომ საზოგადოების დირექტორი კომპანიას წარმოადგენს ერთპიროვნულად. ამასთან, ბანკმა მიუთითა, რომ 2010 წლის 7 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, კომპანიის დირექტორს არაერთხელ ჰქონდა უძრავ ქონებებზე განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერები. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ნების გამოვლენის დროს, გამოხატული ნება საექვო არ გამხდარა არცერთი მხარისთვის. აგრეთვე, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ აღნიშნა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2010 წლის 7 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა წარმოადგენდა ხანდაზმულ მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნის წარმოდგენიდან არსებობდა 18-თვიანი ხანდაზმულობის ვადა, რაც სარჩელის სასამართლოში წარდგენის მომენტისთვის, იყო გასული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო შემდეგ სამართლებრივ მსჯელობას და არგუმენტაციას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ბათილობა თავისი სამართლებრივი ბუნებით აღიარებით სარჩელს წარმოადგენს. შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელია იურიდიული ინტერესის არსებობა. სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ იურიდიული შედეგის მიღწევადობა, რისი დადგომა სურს მოსარჩელეს ამგვარი აღიარებით. სასამართლომ განმარტა, რომ მურთაზ უგულავას მოთხოვნა 2010 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე წარმოადგენდა უსაფუძვლოს, ვინაიდან მურთაზ უგულავა არ წარმოადგენდა სადავო ხელშეკრულების უშუალო მხარეს და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, ხელშეკრულების ბათილობით მიღწეული სამართლებრივი შედეგი ვერ მოახდენდა გავლენას მის უფლებებსა და ინტერესებზე. ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ მხოლოდ ს.ს. „საქართველოს ბანკი“ და შპს „მეტალინვესტი“. შესაბამისად, სადავო საკითხები უნდა შეფასებულიყო დასახელებული იურიდიული პირების იურიდიული ინტერესების პირობებში.

---

<sup>8</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/10220-12

ამასთან, სასამართლომ იურიდიული ინტერესის მიღწევადობის კუთხით განიხილა სარჩელით დასახელებული ორი უძრავი ქონების სამართლებრივი პერსპექტივის საკითხი და აღნიშნა, რომ დავის განხილვის მომენტისთვის, დასახელებული ქონებების მესაკუთრეები სხვა პირები იყვნენ. შესაბამისად, დავის ეტაპზე გასხვისებული უძრავო ქონებების სამართლებრივი საფუძველი იყო ნამდვილი და არ იყო გამხდარი სადავო. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და მეწარმე სუბიექტის წესდების 7.2. პუნქტის შესაბამისად, დადგენილ იყო დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტი, მოქმედი შეზღუდვის ფარგლებში, ვინაიდან გარიგება ნასყიდობის თაობაზე მოითხოვდა საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას, აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების გარეშე დირექტორის მიერ დადებული გარიგება უნდა მიჩნეულიყო ბათილად და მისგან წარმოშობილი სამართლებრივი საფუძველები გაუქმებულიყო, თუმცა მთლიანობაში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, სასამართლოს განმარტებით გახდა შემდეგი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მეწარმე სუბიექტს ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში, შეეძლო განეცხადებინა გარიგების ბათილობის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო 2010 წლის 7 აპრილის წინარე ხელშეკრულების დადების დროს, ვინაიდან განისაზღვრა სამომავლო მესაკუთრის ვინაობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მითითებული სამომავლო უფლების რეგისტრაცია მოხდა რეესტრში და მომავალ მესაკუთრედ მიეთითა ს.ს. „საქართველოს ბანკი“, 2010 წლის მდგომარეობით, აღნიშნული წინარე შეთანხმების არსებობა ცალსახად ცნობილი ფაქტი იყო შპს „მეტალინვესტისა“ და მისი 100%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებლისთვის, თუმცა რაიმე სახის მოქმედება მისი მხრიდან არ განხორციელებულა.

სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, აღნიშნული მოქმედება მიანიშნებს, რომ დირექტორისთვის მსგავსი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა მისი შეზღუდული უფლებამოსილების მიუხედავად, უფლებამოსილი პირის მიერ მოწონებული იქნა. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ 2010 წლის 7 აპრილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან მისი ბათილობის მოთხოვნისთვის გასული

გახლდათ კანონით დადგენილი 18 თვე. შესაბამისად, სარჩელი წარმოადგენდა ხანდაზმულს და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.<sup>9</sup>

### **სამართალწარმოების პროცესი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში**

თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნებისა და წარმოდგენილი (მოსალოდნელი) მსჯელობის პარალელურად, შპს „მეტალინვესტმა“ სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და სადავო გახადა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით<sup>10</sup>. სადავო ნორმის თანახმად, „თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწამე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მეწარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მეწარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით“.

შპს „მეტალინვესტმა“ კონსტიტუციური სარჩელით აღნიშნა, რომ სადავო ნორმის მოქმედების შედეგად, პირდაპირ და უშუალოდ დაირღვა კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული საკუთრების უფლება. შპს „მეტალინვესტის“ ყოფილმა დირექტორმა კომპანიის ქონება გაასხვისა ისე, რომ მას ამგვარი გარიგების დადების სათანადო უფლებამოსილება არ ჰქონდა მინიჭებული. გარიგების არსებობის შესახებ კომპანიის წარმომადგენლებმა შეიტყვეს მისი დადებიდან 2 წლის შემდეგ. სადავო ნორმით, დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, შპს „მეტალინვესტის“ ახლანდელი წარმომადგენლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მოითხოვონ არაუფლებამოსილი დირექტორის მიერ დადებული გარიგების ბათილობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით<sup>11</sup>, შპს „მეტალინვესტის“ კონსტიტუციური სარჩელი

<sup>9</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/10220-12

<sup>10</sup> კონსტიტუციური სარჩელი შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ-რეგისტრაციის #543.

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე: #1/1/543. განმხილველი პირველი კოლეგია: კონსტანტინე ვარძელაშვილი (თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამია, ქეთევან ერემამე, მაია კოპალეიშვილი.

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, დაკმაყოფილდა. არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები - „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, შპს „მეტალინვესტის“ კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნებთან დაკავშირებით, გაკეთდა შემდეგი დასკვნები და განმარტებები:

- მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმას გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, ეს თავისთავად არ არის საკმარისი სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებასა და მისაღწევ მიზანს შორის. ამასთანავე, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული და არსებობდეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და საპირწონე ინტერესს შორის.
- ერთი მხრივ, კანონმდებელი არ უნდა აწესებდეს ხანდაზმულობის გაუმართლებლად ხანგრძლივ ვადას, რაც შემდეგ შექმნის შესაძლებლობას, რომ ნებისმიერი გარიგება გახდეს სადავო და კეთილსინდისიერმა კონტრაგენტმაც კი ვერ შეძლოს თავის დაცვა. მეორე მხრივ, ის არ უნდა იყოს არაგონივრული, აშკარად მცირე, არ უნდა გამორიცხავდეს დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.
- უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმა კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს. ნორმაში ცოდნის ელემენტის არსებობის გათვალისწინებით, გარიგების გაბათილება იმ პირობებშიც კი შეუძლებელია, როდესაც საწარმოს დირექტორს არ ჰქონდა მოცემული გარიგების მეწარმის სახელით დადების უფლებამოსილება (შეზღუდული ჰქონდა უფლებამოსილება), მაგრამ კონტრაგენტი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.
- ამავე დროს, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მეწარმე არათანაზომიერად არ უნდა იყოს შეზღუდული უფლებაში, მოითხოვოს გარიგების ბათილობა, თუ მისი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვა არ იწვევს ეჭვს და კონტრაგენტისთვის ერთმნიშვნელოვნად ცნობილი იყო, რომ წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი, დაედო გარიგება.

- სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას უნდა შემოწმდეს, გამართლებულია თუ არა სადავო ნორმით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის არსებობა იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის და კონტრაგენტის არაკეთილსინდისიერი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, მეწარმე სუბიექტმა დაკარგა შესაძლებლობა, განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე.
- კონტრაგენტი, მართალია, არ არის ვალდებული, ამოწმოს წესდება ან სხვა შიდაკორპორაციული დოკუმენტები და დაადგინოს ნამდვილად შეუზღუდავია თუ არა დირექტორის უფლებამოსილება დადოს კონკრეტული გარიგება, მაგრამ თუ მისთვის ერთმნიშვნელოვნად ცნობილი გახდება (მაგალითად, მეწარმისგან (პარტნიორისგან) მიღებული შეტყობინების შედეგად) წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ და მაინც დადებს გარიგებას, კონტრაგენტი არ ჩაითვლება ბრუნვის კეთილსინდისიერ მონაწილედ.
- სადავო ნორმა, შესაძლოა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – გარიგების დადების გამარტივებას და ყოველი გარიგების საეჭვოობის გამორიცხვას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ გარიგების ბათილობისთვის მხოლოდ 18 თვეა განსაზღვრული, სადავო ნორმა არაპროპოციულად მძიმე ტვირთს აკისრებს მეწარმეს.
- მეწარმეს (პარტნიორს) გააჩნია შესაძლებლობა (და ვალდებულებაც), სათანადო ზედამხედველობა გაუწიოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. ხელმძღვანელის/წარმომადგენლის დანიშნიდან გამომდინარე, რისკის კეთილსინდისიერ კონტრაგენტებზე გადანაწილება არსებითად არასწორი იქნებოდა და საფრთხეს შეუქმნიდა სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას, მაგრამ, ამავე დროს, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებელი არც მეწარმე სუბიექტს უნდა აკისრებდეს არათანაზომად, მძიმე ტვირთს.
- საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს გარიგების ბათილობისთვის, ზოგადად ხანდაზმულობის ვადის დაწესების მიზანშეწონილობას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა არის აშკარად მცირე, რადგან ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ მეწარმე სუბიექტმა ვერ შეძლოს ინფორმაციის მიღება საკუთარ ქონებასთან დაკავშირებით, უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის თაობაზე.
- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა, ერთი მხრივ, არ წარმოადგენს

ლეგიტიმური მიზნების მიღწევის თანაზომიერ საშუალებას, არ ადგენს რა სამართლიან ბალანსს და, ამგვარად, არაპროპორციულია იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და ლეგიტიმურ მიზნად განიხილება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, არ არსებობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, რომლითაც გამართლებული იქნებოდა საკუთრების უფლების შეზღუდვა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

დავუბრუნდეთ შპს „მეტალინვესტისა“ და მურთაზ უგულავას სარჩელს საერთო სასამართლოებში ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წინააღმდეგ 2010 წლის 7 აპრილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით, შპს „მეტალინვესტის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.<sup>12</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც შპს „მეტალინვესტის“ უარი ეთქვა შემდეგი უძრავი ქონებების: 1. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31 ს/კ 01.17.11.007.009, 2. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31, ს/კ 01.17.11.007.19, 3. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის მე-2 ჩიხის #4 ს/კ 01.14.14.011.061.01.500, 4. ქ. ქუთაისი, შვეჩენკოს პირველი შესახვევი #12ა, ს/კ 03.05.24.199 გასხვისების ნაწილში 2010 წლის 7 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე. ამასთან, ბათილად იქნა ცნობილი შპს „მეტალინვესტის“ და ს.ს. „საქართველოს ბანკის“ შორის 2010 წლის დადებული ხელშეკრულება შემდეგი უძრავი ნივთების გასხვისების ნაწილში: 1. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31, ს/კ #31 ს/კ 01.17.11.007.009, 2. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31, ს/კ 01.17.11.007.19, 3. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის მე-2 ჩიხის #4 ს/კ 01.14.14.011.061.01.500, 4. ქ. ქუთაისი, შვეჩენკოს პირველი შესახვევი #12ა, ს/კ 03.05.24.199. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „მეტალინვესტის“ უარი ეთქვა 2010 წლის 7 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე შემდეგი უძრავი ქონებების

<sup>12</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე: #28/4487-12, მოსამართლეები: ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე), თამარ ზამზახიძე, ლილი ტყემალაძე.



გასხვისების ნაწილში: 1. ქ. თბილისი, ოქროყანა, ზონა „გ“ (ნაკვ. 1/8), ს/კ 01.15.08.001.008, 2. უძრავი ქონება, მდებარე: ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი #383, ს/კ 20.42.01.105. დარჩა უცვლელი. ამასთან, არ დაკმაყოფილდა მურთაზ უგულავას სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება მურთაზ უგულავას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იმ ნაწილში, სადაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამონათქვამის სიტყვასიტყვითი აზრიდან. მითითებული ნორმის მიზანია, დავის შემთხვევაში გაირკვეს, რა განზრახვა ჰქონდათ მხარეებს ხელშეკრულების დადებისას და როგორ უნდა იქნას გაგებული ხელშეკრულების სადავო გამონათქვამები. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეტალინვესტის“ წესდების 7.2. მუხლის „ვ“ პუნქტში მოცემული დათქმა მასზედ, რომ კრების კომპეტენციას შეადგენს - საზოგადოების მთლიანი ან ნაწილობრივი გასხვისება და ამ მუხლის საფუძველზე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საზოგადოების დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის რეგისტრირება, მიუთითებს საზოგადოების დამფუძნებლის მიზანზე, დაცული ყოფილიყო საზოგადოების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი აქტივი და საზოგადოების კრების გარეშე არ მომხდარიყო ქონების რაიმე ფორმით განკარგვა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტალინვესტს“ შორის 2010 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას საზოგადოების დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეზღუდული იყო და ხელშეკრულება დაიდო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების გარნკარგვაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოების დირექტორს პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე არ ჰქონდა სადავო გარიგების დადების უფლებამოსილება. ამასთან, დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ (რაც რეგისტრირებული იყო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში) ცნობილი იყო ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“, რაც დადგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც და ეს ფაქტი მხარეებისთვის არც სადავო გამხდარა. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის

სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ წინამდებარე სარჩელი #2-01.17.11.007.009, 01.17.11.007.019, 01.14.14.011.061.01.500, 03.05.01.979, 20.42.01.105 და 01.15.08.001.008 ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე ხანდაზმულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით<sup>13</sup>, მართალია, სადავო ხელშეკრულება მხარეთა შორის გაფორმდა 2010 წლის 7 აპრილს, თუმცა დასახელებული ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავ ნივთებზე, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ საკუთრების უფლება რეგისტრირებული იქნა მხოლოდ 2012 წლის 29 ივნისს. პალატის დასკვნით, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება იურიდიულ შედეგს წარმოშობდა მხოლოდ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების წარმოშობის შემდეგ, რაც განსახილველი დავის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო ხანდაზმულობის ვადის ათვლის თარიღის დადგენისთვის. პალატამ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის 18-თვიანი ვადის ათვლა სადავო ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არა გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღიდან, დაუსაბუთებლად შეზღუდვდა მეწარმე სუბიექტის უფლებას კანონით დადგენილ საგამონაკლისო მცირე ვადაში, სადავო გაეხადა ხელშეკრულება, თუ მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელის უფლებამოსილება იყო შეზღუდული და ამის შესახებ იცოდა კონტრაგენტმა, მოცემულ შემთხვევაში - ს.ს. „საქართველოს ბანკმა“. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილება, აგრეთვე დააფუძნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის განჩინებით<sup>14</sup>, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ საკასაციო საჩივარი, როგორც სამართლის განვითარებისთვის და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი, დასაშვებად იქნა ცნობილი.

<sup>13</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე: #2ბ/4487-12

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის განჩინება, საქმეზე; #ას-653-620-2014, მოსამართლეები: პაატა ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ვასილ როინიშვილი, ბესარიონ ალავიძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით<sup>15</sup>, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა შპს „მეტალინვესტის“ სარჩელი შპს „მეტალინვესტსა“ და ს.ს. საქართველოს ბანკს“ შორის 2010 წლის 7 აპრილის დადებული უძრავი ქონების 1. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31 ს/კ 01.17.11.007.009, 2. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31, ს/კ 01.17.11.007.19, 3. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის მე-2 ჩიხის #4 ს/კ 01.14.14.011.061.01.500, 4. ქ. ქუთაისი, შევჩენკოს პირველი შესახვევი #12ა, ს/კ 03.05.24.199 - ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

2018 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით, ს.ს. „მეტალინვესტის“ არაერთგზის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მხარეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება არ ჩაბარებია. ამასთან, მხარისთვის ცნობილი არც სასამართლოს შემადგენლობის ცვლილების განმარტობებელი მიზეზების თაობაზეა ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ დაიწყო ახალი სამართალწარმოების პროცესი და სარჩელი აღძრა მოპასუხეების: ს.ს. „მეტალინვესტის“, მურთაზ უგულავას, მიხეილ უგულავასა და შპს „მეტალ კონტრაქტინგ“-ის მიმართ, დავის საგანზე: თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის რეალიზება. ახალი სამართალწარმოების პროცესში, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ შეგებებული სარჩელი წარადგინა შპს „მეტალინვესტმა“ და მოითხოვა: გარიგებათა ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა.

2017 წლის 12 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით<sup>16</sup>, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო შპს „მეტალინვესტს“ უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე მისი უსაფუძვლობის გამო. სასამართლოს ზ/აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე:

---

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე; #ას-653-620-2014, მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), პაატა ქათამაძე (მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი.

<sup>16</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/12097-14. მოსამართლე: ვლადიმერ კაკაბაძე.

- შპს „მეტალინვესტს“, მურთაზ უგულავას, მიხეილ უგულავას და შპს „მეტალ კონსტრაქტინგ“-ს ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრათ 5 960 385.14 ლარის გადახდა, საიდანაც სესხის ძირითადმა თანხამ შეადგინა - 4 532.664.68 ლარი, სარგებელმა - 1 422.720.46 ლარი და პირგასამტეხლომ - 5000 ლარი;
- ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა შპს „მეტალინვესტის“, მურთაზ უგულავას, მიხეილ უგულავას და შპს „მეტალ კონსტრაქტინგ“-ის მიმართ მოთხოვნის - 1021149.41 ლარის დაკისრების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა;
- შპს „მეტალინვესტს“, მურთაზ უგულავას, მიხეილ უგულავას და შპს „მეტალ კონსტრაქტინგ“-ს ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრის დღიდან - 2014 წლის 15 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად დაეკისრათ - 1986.92 ლარის გადახდა;
- შპს „მეტალინვესტს“, მურთაზ უგულავას, მიხეილ უგულავას და შპს „მეტალ კონსტრაქტინგ“-ს ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრის დღიდან - 2014 წლის 15 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად პირგასამტეხლოს სახით დაეკისრათ - 198.69 ლარის გადახდა;
- ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარჩელო მოთხოვნას შპს „მეტალინვესტს“, მურთაზ უგულავას, მიხეილ უგულავას და შპს „მეტალ კონსტრაქტინგ“-ის მიმართ ყოველდღიურად დასარიცხი პირგასამტეხლოს სახით 3775.11 ლარის დაკისრების ნაწილში, ეთქვა უარი;
- ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ დაკისრებული დავალიანების დაფარვის მიზნით, სარეალიზაციოდ მიექცა მურთაზ უგულავას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: მცხეთა, სოფელი საგურამო, ს/კ #72.06.03.339;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, სარეალიზაციოდ მიქცეული ქონების გაყიდვით მიღებული ხარჯებით კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში, დადგინდა, რომ სარეალიზაციოდ უნდა მიექცეოდა მურთაზ უგულავას საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონება.

სასამართლოს დადგენილებით, მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიქცეოდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, ხოლო, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შპს „მეტალინვესტის“ შეგებებულ სარჩელში ჩამოყალიბებული მოთხოვნები - ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შპს „მეტალინვესტის“ სასარგებლოდ დაკისრებოდა ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 5 554.381 ლარისა და 2 395 930 აშშ დოლარის ოდენობით (ფაქტობრივი ზარალი), ასევე 4 935 448 ლარი და 5 792 946 ლარი (მიუღებელი შემოსავალი), საქმიანი რეპუტაციის შელახვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 5 000 000 ლარის ოდენობით,

ბათილად მიჩნეულიყო შპს „მეტალინვესტსა“ და ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შორის 2009 წლის 29 მაისის, 2011 წლის 7 მარტის, 2010 წლის 28 აპრილისა და 2011 წლის 29 სექტემბრის საკრედიტო ხაზის მომსახურების, სოლიდარული თავდებობისა და საკრედიტო ხელშეკრულებები, ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შპს „მეტალინვესტის“ სასარგებლოდ დაკისრებოდა უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული სარგებელი - 1 400 678.9 აშშ დოლარის გადახდა, ბანკს შპს „მეტალინვესტის“ სასარგებლოდ დაკისრებოდა 5 639 088 აშშ დოლარის გადახდა, შპს „მეტალინვესტი“ ჩათვლილიყო ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ 2010 წლის 7 აპრილს დადებული უძრავი ქონების #2 ხელშეკრულებიდან გასულად და დავალებოდა შპს „საქართველოს ბანკს“ შპს „მეტალინვესტისთვის“ დაებრუნებია 7 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული უძრავი ქონებები, არც ერთ ნაწილში, უსაფუძვლოდ მიჩნევის გამო, არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 20 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, შპს „მეტალინვესტის“ მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით.<sup>17</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადაწყვეტილების ნაწილობრივ გასაჩივრებით 2017 წლის 27 ნოემბერს მიმართა ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით, სრულად დაკმაყოფილებულიყო ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნა.

2018 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით, საქმეზე სააპელაციო წარმოება გრძელდება.

### *სამართალწარმოების პროცესი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ*

2014 წლის 11 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, შპს „მეტალინვესტისა“ და მურთაზ უგულავას სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების: ს.ს. „საქართველოს ბანკისა“ და მიხეილ უგულავას მიმართ, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა<sup>18</sup>.

შპს „მეტალინვესტის“ მიერ ადმინისტრაციული სარჩელით დავის საგანს წარმოადგენდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 16

<sup>17</sup> შპს „მეტალინვესტისა“ და სხვების სააპელაციო საჩივარი, რეგ. #17002179077. საქის განმხილველი თავმჯდომარე მოსამართლე: მათა სულხანიშვილი;

<sup>18</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე: #3/3416-12. მოსამართლე: თამარ ონიანი.

ივლისის #109551 გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მხარეს უარი ეთქვა შემდეგ უძრავ ქონებებზე: 1. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31 ს/კ 01.17.11.007.009, 2. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #31, ს/კ 01.17.11.007.19, 3. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის მე-2 ჩიხის #4 ს/კ 01.14.14.011.061.01.500, 4. ქ. ქუთაისი, შვეჩენკოს პირველი შესახვევი #12ა, ს/კ 03.05.24.199 ს.ს. „საქართველოს ბანკის“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ბათილად ცნობასა და აღნიშნულ უძრავ ქონებებზე შპს „მეტალინვესტის“ საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „მეტალინვესტის“ მიერ გასაჩივრებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების საფუძველად არსებული სარეგისტრაციო დოკუმენტი - 2010 წლის 7 აპრილის ს.ს. „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტალინვესტს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულ ზ/აღნიშნულ უძრავ ქონებებზე შედგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების განკარგვაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და 23-ე მუხლის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებები, არ შეესაბამებოდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 29 ივნისის #882012297773-06, 2012 წლის 29 ივნისის #882012307791-04, 2012 წლის 29 ივნისის #882012307756-03 და ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 29 ივნისის #882012307744-03 გადაწყვეტილებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით<sup>19</sup>, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება გაუქმდა და დაკმაყოფილდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება დასაბუთდა შემდეგი გარემოებებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა

---

<sup>19</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე: #38/1405-14. მოსამართლე: თეა ძიმისტარაშვილი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმადაც, საჯარო რეესტრის სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგნაირად: საჯარო რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამისამართო რეესტრების ერთობლიობა. სააპელაციო სასამართლო არ ეთანხმება დასკვნებს იმის შესახებ, რომ სადავო შემთხვევაში, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო განცხადებაზე მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა ეთქვა უარი იმ საფუძველით, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტს შპს „მეტალინვესტის“ სახელით ხელს აწერდა არაუფლებამოსილი პირი, კერძოდ, შპს „მეტალინვესტის“ დირექტორი, რომელსაც შეზღუდული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას დაქვემდებარებული გარიგების სახეები, ხოლო 22-ე მუხლით დადგენილია ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების ზოგადი წესი. კერძოდ, საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირის (სარეგისტრაციო განცხადების მიღების) თანდასწრებით გარიგებაზე ხელმოწერის დროს უფლებამოსილი პირის მიერ ხდება მხოლოდ გარიგებაზე ხელმოწერი პირის იდენტიფიკაცია და ამ უკანასკნელის მიერ ხელმოწერის ფაქტის დადასტურება. აღნიშნული არ გულისხმობს გარიგების შინაარსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის და მხარეთა მიერ ნების გამოხატვის ნამდვილობის დადგენას ან სხვა გარემოების შემოწმებას. გარიგებაზე ხელმოწერის ფაქტს უფლებამოსილი პირი ადასტურებს სამსახურებრივი შტამით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან შეზღუდული და შეუძლიათ მოითხოვონ, როგორც საჯარო, ასევე კერძო აქტის ფორმით სანოტარო დოკუმენტის შედგენა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებელი არ ადგენს ასეთი გარიგების ნამდვილობისთვის სანოტარო ფორმის დაცვას. სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ შემთხვევაზე, როდესაც საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად, საჯარო რეესტრს წარედგინება უძრავი ქონების შეძენის შესახებ სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება. ამ ვითარებაში, მარეგისტრირებელ ორგანოს არ ევალება გარიგებაზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების შემოწმება და მისი იდენტიფიკაცია. „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-11 მუხლის საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია მხოლოდ

შეამოწმოს იმ პირის უფლებამოსილება, რომელმაც წარადგინა სარეგისტრაციო დოკუმენტი, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების მონაწილე მხარე შეიძლება იყოს მხოლოდ მარეგისტრირებელი ორგანო და დაინტერესებული პირები.

პალატის განმარტებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისისა და ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურების გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო ს.ს. „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტალინვესტს“ შორის 2010 წლის 7 აპრილის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დამოწმებული იყო სანოტარო წესით და შედგენილი კერძო აქტის სახით. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, იმ ვითარებაში, როდესაც სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინათ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილი უფლების დამდგენი დოკუმენტი, თბილისისა და ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურებს, როგორც მარეგისტრირებელ ორგანოებს (უფლების ფიქსაციის ინსტიტუტი), არ ევალებოდათ უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მისი ნამდვილობის შემოწმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის განჩინებით<sup>20</sup>, არ დაკმაყოფილდა შპს „მეტალინვესტისა“ და მურთაზ უგულავას საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში აღინიშნა, რომ შპს „მეტალინვესტი“ და მურთაზ უგულავა ვერ ასაბუთებდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა განხორციელდა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით. შესაბამისად, კასატორები ვერ აქარწყლებდნენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას. შესაბამისად, შპს „მეტალინვესტისა“ და მურთაზ უგულავას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნა, რომ წარმოე-

---

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის განჩინება, საქმეზე: #ბს-277-223 (კ-15). მოსამართლეები: ლევან მურუსიძე (მომხსენებელი), მაია ვაჩაძე, ნუგზარ სხირტლაძე.



ბული დავის ფარგლებში, მისი განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, არ არსებობდა არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

- 2015 წლის 4 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ წარდგენილ იქნა შპს „მეტალინვესტისა“ და მურთაზ უგულავას საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება მოსამართლეების: ეკატერინე ბიწაძის, თეა ძიმისტარაშვილის, ლევან მურუსიძის, მათა ვაჩაძის, ნუგზარ სხირტლადის, მზია თოდუას, პაატა ქათამაძისა და ეკატერინე გასიტაშვილის მიმართ, თუმცა საბჭოს 2017 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ #253/15 საქმეზე, სამართალწარმოება შეწყდა.

2016 წლის 30 ნოემბერს, შპს „მეტალინვესტმა“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ა) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 11 ნოემბრის #299508 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ბ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შპს „მეტალინვესტის“ მასალებიდან მის მიერ ელექტრონულად ატვირთული 2008 წლით დათარიღებული ე.წ. „წესდების“ ამოღების შესახებ. სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2016 წლის 5 დეკემბერს<sup>21</sup>.

2018 წლის 30 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, შპს „მეტალინვესტის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2018 წლის ივლისის თვის მდგომარეობით, შპს „მეტალინვესტს“ არ ჩაბარებია დასაბუთებული სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან მსჯელობა წარმართულიყო სასამართლოს მიდგომებსა და პოზიციებზე<sup>22</sup>.

---

<sup>21</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 დეკემბრის განჩინება, საქმეზე: #3/8570-16 სარჩელის წარმოებაში მიღების, საქმის განხილვის საპროცესო ვადის გაგრძელებისა და მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ. მოსამართლე: ნანა ჭიჭილიძე.

<sup>22</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე: #3/8570-16. მოსამართლე: თამარ მეშველიანი.

#### 4. დასკვნა

ორგანიზაცია წინამდებარე საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შემოწმებისა და შეფასების პროცესში, თანაზომიერად მიდის დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა შექმნას ისეთი მაკონტროლებელი და გამაწონასწორებელი ინსტიტუტები (სასამართლო, საგამომიებო ორგანო, მარეგისტრირებელი უწყება), რომლებიც ერთის მხრივ უზრუნველყოფენ უფლების მართლზომიერად განხორციელებას, მეორეს მხრივ კი წინდახედულების გზით აკრძალავენ კანონდარღვევას და სამოქალაქო ბრუნვის სტრაბილურობა, როდესაც პროცესის მხარეს დგას კომერციული ინტერესის მქონე მეწარმე სუბიექტები, დაეფუძნება ორგანიზაციული მმართველისა და საქმიანობის ისეთ პრინციპებს, რასაც საბოლოო შედეგით მიყვავართ სწორი მართვის ქმედებათა სისტემასთან. ასეთ დროს, სახელმწიფო ქმნის სამეწარმეო საქმიანობისთვის შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ გარემოს, ხოლო ბიზნესი უნდა დაეფუძნოს კორპორაციული ღირებულებების საერთო პრინციპებს: პატიოსნებას, წესიერებას და პასუხისმგებლობას.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. სწორედ კანონის არსიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს შპს „მეტალინვესტის“ საქმე და სათანადო დასკვნები გაკეთდეს პროცესში მონაწილე ყველა მხარის ქმედებათა მართლზომიერების მიმართ - სახელმწიფოს სახით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ს.ს. „საქართველოს ბანკის“, საერთო სასამართლოების მსჯელობათა და ნოტარიუსის მოქმედებათა მიმართ.

ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, საკუთარი დასკვნები და შეფასებები წარმოადგინოს კეთილსინდისიერებისა და უფლების მართლზომიერად განხორციელების ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საკითხს მიუდგეს შესაბამისი სამართლებრივი ანალიზით.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებას, სადაც პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობებში კეთილსინდისიერებისა და

გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე<sup>23</sup>.

ორგანიზაცია ინტერესს იჩენს განხილული დავის ფარგლებში, რომლის მხარეც დადგენილია, რომ წარმოადგენდა, ასევე, ს.ს. „საქართველოს ბანკი“, კეთილსინდისიერების საკითხის მიმართ სასამართლოს შემდეგი მსჯელობის თაობაზე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება, როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება, როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც ანუ კონტრაქტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

საკასაციო პალატის განმარტებით, კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო

---

<sup>23</sup> 2015 წლის 29 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე: №ას-1338-1376-2014, მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდმარე), ბესარიონ ალავიძე, პაატა ქათამაძე.

კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

საკასაციო პალატის განმარტებით, სადავო არ არის, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა, ხოლო ბანკის მოლოდინი ხელშეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, თუმცა საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რამეთუ ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და, იმ პირობებში, როდესაც, ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიეწოდა შეთავაზება, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებოდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამოდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია ყველაზე ხელსაყრელი და, ამავედროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

მოცემულ შემთხვევაში, საკრედიტო დაწესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოდენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება. მით უფრო, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში, დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს, რომ ბანკის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკსა“ და შპს „მეტალინვესტს“ შორის 2010 წლის 7 აპრილს დაიდო წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა კომპანიის მაშინდელი დირექტორი

უფლებამოსილი არ იყო მოეხდინა კომპანიის უძრავი ქონებების გასხვისება. ამის შესაძლებლობას კომპანიის მაშინდელ დირექტორს არ აძლევდა სპეციალური შეზღუდვა. კერძოდ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით, მაშინდელ დირექტორს საზოგადოების წესდების ჩანაწერის თანახმად, გააჩნდა ხელმძღვანელობაზე შეზღუდული უფლებამოსილება და ქონებების გასხვისება აკრძალული ჰქონდა. ამის მიუხედავად, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ კომპანიის ქონების საკუთრებაში რეგისტრაცია მაინც განხორციელდა, თუმცა მოგვიანებით, 2012 წლის ივნისში. დანაშაულის ნიშნები მდგომარეობს იმაში, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ შესაბამისმა თანამდებობის პირებმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინეს უთარილო, სანოტარო წესით დაუმოწმებელი კომპანიის ე.წ. „წესდება“, სადაც შეცვლილი იქნა ქონების გასხვისების შეზღუდვის შესახებ მანამდე არსებული ჩანაწერის რედაქცია ისეთი ფორმით, რომ საზოგადოების ქონების გასხვისება არ იზღუდებოდა მისი ხელმძღვანელისგან. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ს.ს. „საქართველოს ბანკს“ დაუმტკიცა სადავო ქონებები, ხოლო მოგვიანებით, კომპანიის მიმართვის გარეშე, მოახდინა წესდებით განსაზღვრული შეზღუდვის თვითნებური გაუქმება. დადგენილია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტო არც ახლა ახდენს კომპანიის არაიურიდიული ძალის მქონე წესდების მონაცემთა ბაზიდან ამოღებას. საქმეზე არ ხდება სწრაფი და ეფექტური გამოძიება. ამასთან, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 19 ივნისის დასკვნის საფუძველზე, დადგენილია, 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით პერიოდში, შპს „მეტალინვესტს“ სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მიეღო საორიენტაციოდ 4 935 468,92 (4\*1233867,23) ლარის მოგება.

ორგანიზაციის შეფასებით, შპს „მეტალინვესტში“ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ განხორციელებული კომპანიის იძულებითი მართვა (სეკვესტრი), წარმოდგენილი სპეციალური კონტროლიორის ინსტიტუტის შემოღებით, კეთილსინდისიერების პრინციპს არ პასუხობდა. დადგენილია, რომ 2009 წლის 30 მარტს, შპს „მეტალინვესტის“ დირექტორს, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილესა და მეორეს მხრივ, ფიზიკურ პირ გურამ მაღალაშვილს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, შპს „მეტალინვესტში“ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ კონტროლიორის სტატუსით მიავლინა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვა ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი. ამავე შეთანხმებით, შპს „მეტალინვესტს“ დაევალა კონტროლიორის ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება 3000 (ერთი სამი) ათასი ლარის ოდენობით. შეთანხმების ხელმოწერამდე, სს „საქართველოს ბანკს“ მოვალის

შპს „მეტალინვესტის“ აქტივებზე რეგისტრირებული ჰქონდა უზრუნველყოფები. მოცემული ვითარება, მართალია, არ მიუთითებს უშუალოდ კერძო-სამართლებრივ ინსტიტუტზე იძულებით მართვაზე (სეკვესტრზე), თუმცა რეალურად თუკი გავითვალისწინებთ კრედიტორის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, აღნიშნული სწორედაც ამ ინსტიტუტს ეფუძნება. კერძოდ, კანონი ითვალისწინებს იძულებითი მართვის (სეკვესტრის) ორ სახეს - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებითა და „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონით. აღნიშნულს განასხვავებს საქმის სამართლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, საქმეზე დაწყებულია თუ არა სააღსრულებლო წარმოება. მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის ძირითადი მიზანია მოვალის მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქნეს და ძალისხმევა მიიმართოს იმ კუთხით, რომ მოვალემ შეძლოს ვალდებულების შესრულება. იძულებითი მართვის გამოყენების მთავარი პირობაა, რომ სეკვესტრით დაკმაყოფილდება კრედიტორი, ხოლო აღნიშნული თუკი აშკარად არ გამომდინარეობს საქმის მდგომარეობით, დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს ამგვარი ჩარევა. დადგენილია, რომ იძულებით მმართველად შესაძლოა გამოვიდეს კრედიტორი, კრედიტორის მიერ შერჩეული მესამე პირი მისივე თანხმობით ანდა მოვალე.

განსახილველ შემთხვევაში, ბანკსა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმებით, სახეზე არ არის კლასიკური სეკვესტრი, თუმცა დოკუმენტის სამართლებრივი შინაარსი პირდაპირ გულისხმობს ბანკის უპირობო მდგომარეობას - მოვალე რჩება კომპანიის მმართველად, თუმცა მას კრედიტორი უდგენს ცალკეულ შეზღუდვებს, რომელიც რეალურად არ ემსახურება შპს „მეტალინვესტის“ განვითარებას და ამასთან, მესამე პირს კონტროლიორის სტატუსით ნიშნავს, რომლის ანაზღაურების საკმარის მალაღ მარჯს ადგენს და სრულ უფლებამოსილებას ანიჭებს აკონტროლოს საწარომოს შიდა სტრუქტურა, რაც უნდა აცნობოს სს „საქართველოს ბანკს“. ამასთან, კომპანიას უზღუდავს გაყიდული საქონელის მყიდველისთვის გადაცემის ვადებს, რაც ცალსახად არაკომფორტულს ხდის შპს „მეტალინვესტთან“ პოტენციური კლიენტების ურთიერთობის საკითხს.

წინამდებარე შეთანხმების სახით, კომპანიაში, სრული კონტროლით, „იძულებით მმართველად“ შემოდის ს.ს. „საქართველოს ბანკი“, რომელიც კონტროლიორის ინსტიტუტის ამოქმედებით და სახით, სრულად აკონტროლებს დაქვემდებარებული ბიზნესის ყველა მიმართულებით არსებულ საქმიანობას, რაც ორგანიზაციის შეფასებით, მმართველობით ფუნქციონირებს უნდა განვიხილოთ.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, იძულებითი მართვის (სეკვესტრის) არსებობა

დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან აღნიშნული სრულად მიმართულია მოვალის ინტერესების დაცვისკენ, მაშინ როდესაც მოვალე არის მძიმე ვითარებაში და მისი რესურსი იძლევა შესაძლებლობას, დაუბრუნდეს გადახდის უნარიან მდგომარეობას, ხოლო იმ ვითარებაში, როდესაც მოვალეს მხოლოდ ცალკეული ჩვეულებრივი ზემოქმედებებით უფერხდება ეკონომიკური მდგომარეობა და კრედიტორი ცდილობს საკითხი წარმართოს და პროვოცირება გაუკეთოს, რათა მოვალე მიიყვანოს იძულებითი მართვის მდგომარეობამდე, მიუთითებს ცალკეულ რისკებზე. საკითხი უნდა შეფასდეს იმ კუთხითაც, თუ რამდენად მიზანშეწონილია იძულებითი მართვის პრინციპები გამოყენებულ იქნეს მაშინ, როდესაც კრედიტორია საფინანსო ინსტიტუტი და მის ხელთაა მოვალის მიმდინარე ანგარიშებზე წვდომა, საკრედიტო ურთიერთობებში ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, რაც შესაძლებლობას იძლევა ხელოვნურად იქნეს მდგომარეობა შექმნილიც და დამძიმებული.

ორგანიზაცია შენიშნავს იმასაც, რომ „იძულებითი მართვის ინსტიტუტი“, არ შეიძლება დროსა და სივრცეში აღმოჩნდეს იმდენად ხანგრძლივი, რომ ამით შეიცვალოს საწარმოს ჩვეული საქმიანობა. 2009 წლის 30 მარტის შეთანხმებით, მისი მოქმედების ვადა მეტად რისკის შემცველია, ვინაიდან მითითებულია, რომ ერთის მხრივ შესაძლოა შეთანხმება შეწყდეს კონკრეტული ნივთის სრული რეალიზაციით ან მეორეს მხრივ, ვალდებულების სრულად დაფარვის შემდგომ. როგორც უკვე აღინიშნა, სახეზეა საკრედიტო ვალდებულება, რაც მუდმივად მზარდია და ამასთან, სახეზე არ არის მყარი პროცენტი, რითაც შესაძლებელია მოვალის მიმართ ხელოვნურად იქნეს გამოყენებული მაკონტროლებელი ფუნქცია, რაც დაუშვებელია და მოხდა კიდევ.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს ნოტარიუსის მიერ შედგენილ კერძო აქტის მიმართებას იურიდიული პირის წარმომადგენლობით „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 2010 წლის მარტის მდგომარეობით და მეორეს მხრივ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფუნქციას ნოტარიუსის მიერ წარდგენილი კერძო აქტის შემთხვევაში ქონების რეგისტრაციის განხორციელების ნაწილში. ამ ინსტრუქციის თანახმად, ნოტარიუს უფლება აქვს შეადგინოს კერძო და საჯარო სანოტარო აქტი. აქტი საჯაროა, თუ ნოტარიუსი შეამოწმებს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობას, უფლებამოსილებას, ქმედუნარიანობას, ნების გამოვლენის ნამდვილობას და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მხარეთა ნების ადეკვატურ ასახვას გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტებას, რჩევის მიცემას, ხოლო კერძო აქტია გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას. ნოტარიუსის

ვალდებულებაა შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა. შესაბამისად, კერძო აქტისას არ მოწმდება გარიგების შინაარსი, თუმცა აუცილებელია დადგინდეს ხელმომწერი სუბიექტების ვინაობა და უფლებამოსილება.

განსახილველ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა იურიდიული პირი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია გვთავაზობს განსხვავებულ მოწესრიგებას. კერძოდ, თუ სანოტარო აქტის მონაწილე არის იურიდიული პირი, ნოტარიუსი ვალდებულია მოითხოვოს იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც განისაზღვრება ამავე ინსტრუქციით. ვინაიდან სანოტარო აქტის შედგენისას ნოტარიუსმა უნდა დაადგინოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, აღნიშნული იურიდიული პირის ნაწილში განიმარტება იმგვარად, რომ ან შედგენილ უნდა იქნეს საჯარო აქტი ან დაზუსტდეს მხარის იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილება და მას შემდგომ იქნეს შედგენილი აქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დადებული გარიგება არ იქნება იურიდიული შედეგის წარმომშობი, ვინაიდან მხარის იდენტიფიცირება არ იქნება დადგენილი. რაც შეეხება საჯარო რეესტრის ფუნქციას ნოტარიუსის მიერ წარდგენილ კერძო აქტის შემთხვევაში, ქონების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ნაწილში, საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადება.

ამასთან, გარიგების მხარე აუცილებელია იყოს იმ უფლების მატარებელი, რაზედაც შესაძლებლობა აქვს გამოავლინოს ნება პირმა. უძრავ ქონებაზე გარიგების დადებისთვის, აუცილებელია მესაკუთრემ გამოავლინოს ნამდვილი ნება, რომელიც დადასტურებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის წარმომადგენლი წინაშე ან/და დამოწმებულ იქნეს ნოტარიუსის მიერ. მოცემული წინაპირობებიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ უძრავი ქონების რეგისტრაციისთვის დადგენილია საჯარო რეესტრის წარმომადგენლის წინაშე დადებული გარიგება და ნოტარიუსის მიერ კერძო აქტით დამოწმებული გარიგება. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო რეესტრის წარმომადგენელი ადასტურებს მხოლოდ პირთა უფლებამოსილებას და ხელმოწერის ნამდვილობას. ასევე, თუკი წარდგენილია ნოტარიუსის კერძო აქტი, აღნიშნული ტექნიკურად ტარდება რეესტრში და გადაეცემა უფლებამოსილ პირს შეამოწმოს გარიგების კანონიერება, იმ ნაწილში, რომ მისი შინაარსობრივი მდგომარეობა კანონსაწინააღმდეგო ხომ არ არის და რამდენად ნამდვილია ნების გამომვლენი პირების უფლებამოსილება, ანუ მხარეთა მიერ ნების გამოვლენა უფლებამოსილების ფარგლებში, ხომ არ შეიცავს ხარვეზს. კერძოდ, ნების გამომვლენი ფლობს თუ არა იმ უფლებას, რაზეც აცხადებს თანხმობას. ამდენად, საჯარო რეესტრის ეროვნული



სააგენტოს მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების რეგისტრაციის ნამდვილობისთვის, სავალდებულოა შემოწმდეს გარიგების ნამდვილობა. აღნიშნული ვალდებულებისგან უწყებას მხოლოდ ათავისუფლებს ნოტარიუსის მიერ უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ შედგენილი მხოლოდ საჯარო აქტი, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ნოტარიუსი კანონით არის ვალდებული შეამოწმებს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში. მოცემულ შემთხვევაში, გარიგების შინაარსობრივი ხარვეზის პასუხისმგებლობა ეკისრება აქტის შემდეგ ნოტარიუსს, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი არ არის სახეზე, ამ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ორგანოს ფუნქციონირებას აზრი ეკარგება.

ორგანიზაციის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, შპს „მეტალინვესტის“ ქონებების გასხვისების ნაწილში, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ს.ს „საქართველოს ბანკი“ მოქმედებდა სქემით, რომელმაც შელახა შპს „მეტალინვესტის“ კანონიერი ინტერესები. ასეთი მსჯელობის საფუძველს იძლევა თავად ს.ს „საქართველოს ბანკის“ ქმედება - უძრავი ქონების შეძენის მიუხედავად, იმავე ქონებაზე, ხელმეორედ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება კომპანიის იმ დირექტორთან, რომელსაც გააჩნდა სრული წარმომადგენლობა წესდების თანახმად. რაც ეხება უშუალოდ სქემის არსს, აღნიშნული გულისხმობს ხელშეკრულებების იმგვარად გაფორმებას, რომელმაც ადმინისტრაციული ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო „შეცდომაში შეიყვანა“ და უძრავი ქონების რეგისტრაცია მოახდინა არა ადმინისტრაციული წარმოებით, არამედ მის გარეშე, რეალაქტის განხორციელებით. 2010 წლის 07 აპრილს, შპს „მეტალინვესტის“ მიერ უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა არაუფლებამოსილმა დირექტორმა, ამ ფაქტის არსებობამ განაპირობა ამ ხელშეკრულების ნოტარიუსის კერძო აქტით დადასტურება, რომელმაც, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, არ შეამოწმა შპს-ს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ეს ხელშეკრულებები სარეგისტრაციოდ წარედგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც ნოტარიუსის კერძო აქტი გაუთანაბრა ნოტარიუსის საჯარო აქტს და არ ჩაატარა წარმოება ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის შემოწმების კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნოტარიუსის კერძო აქტი თავისი შინაარსით, არ გულისხმობს გარიგების შინაარსის დადგენას კანონმდებლობასთან შესაბამისობის ნაწილში. შესაბამისად აღნიშნული აქტი უთანაბრდება საჯარო რეესტრის წარმომადგენლის წინ გარიგების ხელმოწერას, რის შემდგომაც, ადმინისტრაციული ორგანო წარმოებას იწყებს

გარიგების კანონთან შესაბამისობის დადგენას მიზნით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უარი განაცხადა ამ ტიპის წარმოების ჩატარებაზე იმ საფუძველით, რომ წარმოდგენილი იყო ნოტარიუსის კერძო აქტი. ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მხარეთა შორის დადებული გარიგების კანონთან შესაბამისობის გადამოწმების გარეშე საკუთრების რეგისტრაცია, რამაც შელახა და დააზარალა შპს „მეტალინვესტის“ კანონიერი ინტერესი, რადგან გარიგებებზე ხელმოწერი პირი იყო არაუფლებამოსილი.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საკითხის მიმართ ასეთმა ქმედებებმა - გარიგების დამოწმებამ ნოტარიუსის კერძო აქტით, შპს „მეტალინვესტის“ წესდების თარგმანმა, რითაც ფორმალურად გაზრდილ იქნა წესდების მოცულობა, ფაქტობრივად, გამოიწვია სამართლებრივი ნორმების აღრევა და სათანადო ყურადღება არ იქნა დათმობილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არსებითი საკითხების მიმართ. კერძოდ, არ იქნა გამიჯნული ნოტარიუსის კერძო და საჯარო აქტი.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმოს იმ გარემოებასაც, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 11 თებერვლის თავის გადაწყვეტილებაში, რომლითაც შპს „მეტალინვესტი“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შეედავა, განმარტა, რომ „მოცემულ სადავო შემთხვევებში, როცა სარეგისტრაციო სამსახურებს წარედგინათ, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილი უფლების დამდგენი დოკუმენტი, თბილისისა და ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურებს, როგორც მარეგისტრირებელი ორგანოებს (უფლების ფიქსაციის ინსტიტუტი), არ ევალუბოდათ უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობის და მისი ნამდვილობის შემოწმება.“

ორგანიზაცია კრიტიკულად აფასებს სასამართლოს ასეთ მსჯელობას და მიაჩნია, რომ წინამდებარე დასაბუთება არ არის სრული და საჭიროებს დაკონკრეტებას. კერძოდ, სასამართლომ არ იმსჯელა და არ შეაფასა ნოტარიუსის მიერ მიღებული აქტების სამართლებრივი მდგომარეობა. სასამართლოს ამგვარი მსჯელობა სრულიად გაზიარებულ იქნება ნოტარიუსის საჯარო აქტის მიმართ, ხოლო როდესაც სახეზეა ნოტარიუსის კერძო აქტი, მოცემული მსჯელობა ვერ უძლებს კრიტიკას, რადგან ამგვარი აქტი თავისი შინაარსით მოიცავს გარიგებაზე ხელმოწერ პირთა ვინაობის დადგენას და მათ მიერ ხელმოწერის დადასტურებას. კერძო აქტის შემთხვევაში, ნოტარიუსი არ შედის გარიგების შინაარსის კვლევაში. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც სახეზეა ნოტარიუსის კერძო აქტი, საჯარო რეესტრმა უნდა მოახდინოს ფაქტის ფიქსაცია ელექტრონულ რეესტრში, სრულიად

